თქვენს მიერ დადგენილი ხარვეზის მე-2 პუნქტის პასუხად მოგახსენებთ:

ჩვენს მიერ ატვირთულ გენგეგმაზე (იხილეთ მიმაგრებული გენგეგმა) დატანილია ისრები და რკალის ნაწილები, რომლებზეც მითითებულია მანძილები მეტრებში, კონკრეტული ნორმების განმსაზღვრელი კოდექსისა და ამ კოდექსის მუხლისა და პუნქტის მითითებით (მაგ: NFPA 52; 8.4.2.9. – 4მ, სადაც პირველი არის კოდექსის ნომრის, ხოლო დანარჩენი: თავის, მუხლის, პუნქტისა და აბზაცის შესატყვისი). ჩვენს მიერ წარმოდგენილი გაზგასამართი სადგურის პროექტის შესაბამისობა ზემოაღნიშნულ ნორმებთან დადასტურებული გვაქვს საექსპერტო დასკვნითაც, რომელიც თავის მხრივ მოვიყვანეთ შესაბამისობაში ტექნოლოგიური ნაწილის განმარტებით ბარათთან (თქვენი მოთხოვნის შესაბამისად). აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოცემული ნორმებით არ ირღვევა მომიჯნავე მიწის ნაკვეთების საზღვრები და შესაბამისად არ გვჭირდება მეზობლების თანხმობებიც.

უმორჩილესად გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენს მიერ გასწორებული ხარვეზების განხილვის დროს.

გენერალური გეგმა

მ. 1:200



შენიშვნა: ზომები მოცემულია სანტიმეტრებში

შ.პ.ს. „ვექტორი“		დამკვეთი: საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია	
		დაკვეთა:	
დირექტორი		შ. კურტანიძე	ქ.თბილისი, გულუას ქუჩა №22-ში სააროექტო ავტომაზასამართი კომპრესორული სადგურის გაზომვარაგება
დააპროექტა		ა. გველესიანი	
შეასრულა		დ. ბითაძე	გენერალური გეგმა
შეამოწმა		ა. გველესიანი	
		თარიღი: 01.07.2015	მაშტაბი: 1:200 / ფურცელი: №2

შპს „გ და ე“
(გაზი და ენერგია)
ს/კ. 405096514 *მისამართი: ქ. თბილისი, იოსელიანის ქ. №2.*

03 ივლისი, 2015 წელი

ქ. თბილისი, გულუას ქ. 22-ში (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.18.05.001.023.) „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია”-ს კუთვნილ ტერიტორიაზე საპროექტო აირსავსები საკომპრესორო სადგურის ტექნოლოგიური პროექტის

საექპერტო დასკვნა

(დაზუსტებული)

პროექტირების დროს გამოყენებულია აშშ-ში მოქმედი ნორმები და სტანდარტები - NFPA-52; NFPA-54; NFPA-70; NFPA-221.

პროექტით გათვალისწინებულია ერთდროულად რვა ავტომობილის გამართვა ბუნებრივი აირით.

ტერიტორიაზე განლაგებულია: საოფისე შენობა, საშხაპე და სანიტარული კვანძები; საკომპრესორო; ელექტროფარის სათავსო; ოთხი დისპენსერი.

მანძილები სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს შორის, აირსავსებ საკომპრესორო სადგურსა და იმ ობიექტებს შორის, რომლებიც არ განეკუთვნება სადგურს, მთლიანად შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ ნორმებს.

ტექნოლოგიურ ნაწილში პროექტი მოიცავს:

1. მკვებავ გაზსადენს;
2. გაზის შრობა-რეგენერაციის ბლოკს;
3. კომპრესორებს;
4. აირის აკუმულატორების ბლოკს;
5. დისპენსერებს.

პროექტის თანახმად გაზსადენში (ფურცლები 3; 4; 5; 6; 7; 13) გამოყენებულ უნდა იქნას 150 მმ დიამეტრის უნაკერო მილები, რომლებიც აკმაყოფილებს ს.ნ. და წ. 10704-76-ის მოთხოვნებს. გაზსადენის სქემაში ჩართულია გაზის გამაშრობელი, ფილტრი და საჭირო ჩამკეტი არმატურა. მილსადენზე მონტაჟდება დამცავი სარქველები და სადეგაზაციო ონკანები; გათვალისწინებულია გამქრევი სანთელის მოწყობა; აღწერილია გაზის გამაშრობელის ექსპლუატაციისა და მომსახურების წესები; მოცემულია პრინციპიალური და სამონტაჟო სქემები (ფურცელი 10; 11).

მკვებავი გაზსადენის პროექტი (ფურცელი 3;) აკმაყოფილებს, როგორც NFPA-54-ის ნორმებს, ასევე საქართველოში მოქმედ სნ და წ 2.04.08-87 მოთხოვნებს.

განმარტებით ბარათი შეიცავს შესაბამისი სტანდარტის მიხედვით გაზსადენის გამოცდის აღწერილობას.

კომპრესორების მარკა ACPRO IODM 115-5-4RE ; რაოდენობა 2; თითოეულის მწარმოებლობა 1000 მ^3/სთ.

უსაფრთხოების ღონისძიებების კუთხით განხილულია ყველა ის მოთხოვნები, რომელიც შეეხება: მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების ტექნიკის წესების ცოდნასა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს, სავენტილიაციო სისტემების და ავტომატური-გამზომი მოწყობილობების გამართული მუშაობის სისტემატიურ კონტროლს; წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭლების ექსპლუატაციასა და გადამოწმებას.

მომზადებულია დამიწებისა და მეხამრიდის მოწყობის პროექტი (ფურცელი ე-5; ე-6).

დასკვნა

განხილული პროექტი შესრულებულია აშშ-ში მოქმედი - NFPA-52; NFPA-54; NFPA-70; NFPA-221 კოდექსების გამოყენებით, რაც შეესაბამება:

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს"; „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვების" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილებას.

მოცემულ პროექტს ვაფასებ დადებითად და ვაძლევ რეკომენდაციას მისი განხორციელებასთვის.

405096514

აკადემიური დოქტორი თ. ნაცვლიშვილი